



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 16

ს ა რ ი ლ ი, 14 1896 წ.

№ 16

შინაარსი: კერძო განცხადება.—ჩვენი დღევანდელი ვარამი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—ზოგიერთი ფიქრი, ზომილია.—იმედი ლექსი, ი. ევდოშვილისა.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (გაგრძელება), ნ. უორდანიასი.—ბაში აჩუგი (შემდეგი), აკაკისა.—სახუმარო გასართობი, ბალტაზარისა და ქუთაისის მიხაილის ბანკის განცხადება.

შემდეგი № 17 ნომერი (როგორც მეტი) გამოვა ხუთშაბათს 18 აპრილს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

რადგანაც ნამეტანი ღრე გვეკარგება, დღეიდან ეპიტაფიებს უსასყიდლოთ აღარავის ვუწერთ. ვისაც ჰსურს რომ დაგვაწერიოს ლექსათ თუ პროზათ, უნდა წარმოადგინოს მხედრი ფული: 5 მ. მკედრებისთვის 10 მ. ცოცხლებისთვის, 25 მ. ცოცხალ — მკედრებისთვის. ზოგიერთ ქუთაისელ ინტელიგენტებს უფულოთაც დაუწერთ სიამოვნებით. შემოსავალი საქველ-მოქმედლად და გადაეცემა ქერბი — ქალებს.

აჭკი.

ჩვენი დღევანდელი ვარამი.

შინ არ იცის, თუ რამდენი უბედურება ზედიზედ ეწვია ამ ნახევარი წლის განმავლობაში მთელ იმერეთს და აგრეთვე რამდენსამე ქართლის სოფლებსაც. ჯერ იყო და გასაოცარმა წყალ-

დილობამ უფრო მართლათ რომ ეთქვათ, წარღვნამ, დაატკია და წალეკა დასახლებული ადგილების მიდამოები. მთელი სოფლების სარჩო-საბადებელი: პირუტყვი, კალოები, სასიმინდოები, საცხოვრებელი სახლები ადიდებული მდინარეების და ნიაღვრების ტალღებმა შავი და კასპიის ზღვებს შეუერთეს შთანთქმელათ. ვინ მოთელის, თუ რამდენ მოსახლეს გამოგლიჯა პირიდან საზღოების ყოველნაირი საშუალება შარშანდელი შემოდგომის წყალდილობამ, რადგანაც სარჩო-საბადებელთან ერთად ხიდების და გზების დანგრევით, მისვლა-მოსვლაც უნდა შეწყვეტილიყო. ზომ იცით, რას ნიშნავს მისვლა-მოსვლა, და უმეტესათ ჩვენ ღრეში. მაგრამ, ეს დასაწყისი იყო: თურმე უფრო დიდი უბედურება მერე მოეწოდა მთელ დასავლეთ საქართველოს. იანერის მერე ნახევარში რამოდენიმე ალაბის სიმაღლე თოვლით დაიფარა მთელი იმერეთი და ნახევარი ქართლი. ჩვენ ვერ შევიძლებთ აქ აღწერსოთ, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვა ამ დიდ თოვლობას: გზების ხელ-ახლა შეკერა, თოვლისაგან დამძიმებული სახლების დამსხვრევა, ადამიანების მსხვერპლი, შიმშილი, სიცივე, — ყველა ეს სიუ-

ყვები მხოლოდ მკრთალათ გამოხატეს იმ უბედურებას, რომელიც ზედ კარზე მიაღმა თვითოეულ მცხოვრებელს. მაგრამ დრამა ყველაზე უსაშინელს შემთხვევას უკანასკნელი მოქმედებისათვის ინახავს. სწორეთ ასე მოხდა წელს იმერეთში და რამდენსამე ქართლის სოფლებშიაც. თოელი უნდა გამდნარიყო და, აი, აქ იწყება ამ დრამის უკანასკნელი მოქმედება; თოელის გადნობას მოყვა, ხელ-ახლა მდინარეების აღიდება, ხიდების დანგრევა, ზეაფები, მთელი სოფოლელების თავის სახლ-კარით და მამულით დაშვება და განადგურება. ჩვენ ვკონებთ, რომ ამით დასრულდა დრამა; მაგრამ სასტიკათ ვცდებით! სხვადა-სხვა კუთხეებიდან და სოფლებიდან მოგვლის შემაძრწუნებელი ამბები: იწერებიან უსახლ-კარობას, ულუკმობას, იწერებიან შიმშილს; გვატყობინებენ, რომ სიტყვით შეუძლებელია გამოეთქვათ ის, რაც ჩვენ თვალ წინ ჩდებოა.

ჩვენთვის სწორეთ ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი გარკმობება ყველაზე უფრო სამწუხაროა. რა უბედურება დატრიალდა წელს იმერეთში, ჩვენ ამის მესაღებდაც არა გვაქვს სრული წარმოდგენა. ჩვენ არ ვიცით ადგილობრივი მთავრობა შეუდგა თუ არა ამის გამოკვლევას და ცოტათ თუ ბევრათ სრულ ცნობაში მოყვანას. ჩვენი კორესპონდენტებიც, საუბედუროთ, არაერთარ სწორ ცნობებს ამის შესახებ არ იძლევიან. იმათი ამბები გაესებულია მხოლოდ დრტინებით, გოდებით და მოწოდებით ქართველ მდიდართა მიმართ, რომ ამ უკანასკნელებმა გაიხსენონ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი თავის მოძმენი. ჩვენც გვესმის კორესპონდენტების მდგომარეობა: ივინი ამ ჟამათ უფრო გრძნობას დამორჩილებიან. იმედი ვიქონიოთ მხოლოდ, რომ შემდეგნათვის საჭირო ცნობებს მოგვაწვდიან მეფალყურყნი.

რაც შეეხება იმათ მოწოდებას ჩვენი საზოგადოებისადმი, ამ უკანასკნელმა ამ საქმეში არ გამოიჩინა გულ-ქვაობა. სხვა-და-სხვა ადგილას დაარსდა კომიტეტები, რომლების დადნიშნულებას შეადგენს შესწორულებათა შეგროვება და გაჭირებულები და დაზიანებული ხალხისადმი მიწოდება. ჩვენი მხრით, ეთლით თავის მოვალეობათ, რომ რამდენიმე მოსაზრებანი წარმოეთქვათ ამ კომიტეტებც საყურადღებოთ.

1) საჭიროა, რომ კომიტეტების მოქმედება არ დაიქსაქსოს, არ გართულდეს, ე. ი. ფორმალიზმის მეოხებით შემწვობის მიწოდება გაჭირებულისადმი არ გაძნელდეს;

2) საჭიროა, რაც შეიძლება მალე მიეშველონ დაზიანებულთ და შემდეგნათვის არ გადადნან შემ-

წვობა, რადგანაც უმეტესობა ახლა საჭიროებს ამ უკანასკნელს;

3) ყოველ ნაირ გაჭირებას აქვს თავის ხარისხი; ამიტომ საჭიროა, ეს ხარისხი განსაზღვრულ იქნეს, რომ ერთს მეტი არ მიეცეს და მეორეს ნაკლები. უსათუოთ აქ ბოროტ-მოქმედებაც იჩენს თავს და ბევრი იმისთანაებიც მიიღებენ შემწვობას, რომლებიც ამ უკანასკნელში სრულებით არ საჭიროებენ. ამიტომ კომიტეტებს მართებთ დიდი სიფრთხილით მოქმედება, მაგრამ ზოგან სიფრთხილის გადაჭარბებაც ავენებს ხოლმე საქმეს.

4) ჩვენ არ ვიცით, როგორ და რანაირათ აღმოუჩენენ კომიტეტები ხალხს შემწვობას? ე. ი. ფუთლით, თუ ხორბლით, სიმინდით და სხვა ნივთებით? ჩვენ ვაქცევთ ამას უმთავრეს ყურადღებას და აი, რათა: წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე გაჭირებულს კომიტეტი აძლევს შამწვობას ფუთლით. რა უნდა ქნას უკანასკნელმა ამ ფუთლით? უტკველია, იმან უნდა იყიდოს მითი საზრდო. მაგრამ ამისთანა გაჭირებულები დროთი სარგებლობენ, უმეტეს ნაწილათ, ჩარჩები, რომლებიც დამალ და გაფუჭებულ საქონელს ერთი ათათ ასალებენ: თუ ამ გარემოებას არ მიაქციეს ყურადღება ჩვენმა კომიტეტებმა, იმ შემთხვევაში იმათი სარგებლობა შესამჩნევათ შემცირდება. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივი კომიტეტები უხელმძღვანელებენ ამ საქმეს და ნამდვილ გაჭირებულთ აღმოუჩენენ შემწვობას.



სხვა-და-სხვა ამბავი.



ბილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრება დაიწყება 20 აპრილს. დირექტორის ადგილზე, როგორც გამოცხადებულია, კენჭი უნდა იყაროს სება შორის პოლკ. ქრისტეფორე მამაცაშვილმა. სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი ამზადებს კრებაზე წარსადგენათ კომისიების მოხსენებას ქალთა სკოლის დაარსების 25 ვაჟთა—სამეურნეო სკოლის შესახებ.

* * *

წარსულს 1895 წ. ანგარიშიდან ჩანს, რომ თბილისში ყოფილა სულ 13 ფაბრიკა, საცა მუშაობდა 1497 კაცი, და 274 ქარხანა, 2087 მომუშავეთი. ფაბრიკების წარმადელი ნაწარმოები შეად-

გენს 1.544,029 მანეთს, ხოლო ქარხნებს დაუმუშავებია 3.629,668 მანეთის საქონელი. საერთო რიცხვი ყველა თბილისის ფაბრიკებისა და ქარხნებისა წასულ 1895 წ. შეადგენს 288, სადაც მუშაობდა 3584 კაცი; საერთო ჯამი წარმოებისა შეადგენს 5.173,697 მან. ამ ნაირათ 1895 წ. წარმოება 1894 წ. ნაწარმოებს თითქმის ერთი მილიონით აღემატება.

* *

გაზეთ „კავკასის“ ბაქოელი კორესპონდენტი იწერება, რომ ადგილობრივი ქალაქის თვით მართელობა დიდი თანაგრძნობით ეკიდება სახალხო სწავლა-განათლების საქმეს. სხვა-და-სხვა სასწავლებლებზე ქ. ბაქო ხარჯავს ასი ათასზე მეტს მანეთს. ამ წლიდან ეს ხარჯი უფრო უნდა გადიდდეს, რადგანაც ქალაქს განზრახვა აქვს კიდევ გახსნას ერთი ტექნიკური სასწავლებელი და მერვე პირველ დაწყებითი სკოლა. არ გვანებია თბილისის გამგეობას. რამდენიმე წელიწადია ფიქრობენ თავშესაფარის გამართვას სახელოსნო სკოლის მოსწავლეობათვის და ვერა გაუწყვიათ-რა.

* *

მთელ რუსეთის სახელმწიფოში 1892 წლის დასაწყის ყოფილა სულ 168 საეაქო გიმნაზია და 60 პროგიმნაზია, რაზედაც დახარჯულა 10.520,157 მან.

* *

სამხედრო ზეგარის გადახდის ვადა კავკასიის მკვიდრთათვის აქამდის, როგორც ვიცით, სამი წელიწადი იყო, ახლა როგორც „ახალი მიმობნილვა“ გვატყობინებს განზრახვა აქვთ თურმე ეს ვადა ოთხ წლით შეცვალონ, ე. ი. ისე, როგორც რუსეთშია.

* *

თბილისის ქალაქის საბჭოს 10 აპრილს სხდომაზე გადაუწყვეტია, რომ ხელმწიფის კურთხევის დღესასწაულის გამო იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რათა თბილისის ღარიბ მცხოვრებთ ევატიოთ 20,000 მან. მამულეებზე დარჩენილი გადასახადი.

* *

თბილისის გუბერნიის თავდა-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კოს. მუხრანბატონი 11 აპრილს უკ-

ვე გამგზავრებულია ხელმწიფე იმპერატორის კურთხევაზე დასასწრებათ.

* *

გამოვიდა ახალი წიგნაკი „წმიდა ეკატერინე“; შარაძის და ამხანაგობის გამოცემა ფასი 5 კაპ.



საყურადღებო ამბები.

ხმა ქიზიყიდან.

(მამასხლისის აჩქევანების გამო.)

ბანთლით საქმენელია იმისთანა სოფელი, სადაც ხალხი მაღლიერი იყოს სოფლის მონხელებსა; ყოველგან გაისმის ერთი და იგივე სამღურავი და ჩივილი სოფლის მამასახლისებზე, თუ მსაჯულებზე, — ემდურიან მათ მოქრთამეობას, უსამართლობას, სოფელზე უზრუნველობას, და სხვ. რამდენათაც სამწუხაროა ეს მოვლენა, იმდენათვე სამართლიანია. მართლაც-და, თითქმის ყველა სოფლის მოხელე ისე უყურებს თავის თანამდებობას, როგორც უკეთეს წყაროს, ანუ საშუალებას თავისი გამდიდრებისათვის; ყველას დაეწყებია, რა წმიდა მოვალეობა აქვთ მათ სოფლის წინაშე. რით აიხსნება ეს საზოგადო მოვლენა — მოხელეების უვარგისობა? შეიძლება ბევრმა მოხელეების უვარგისობა მიაწეროს იმას, რომ თვით თანამდებობა არის აქ დამნაშავე, რადგან ეს უკანასკნელი ძლიერ ხელს უწყობს მოხელეების ბოროტ-მოქმედებას და ვინდ რომ სინილისიერი პირი იყოს ამორჩეული სოფლის მოხელეთ, ის მაინც გაფუტდება. შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ასე მოხდეს, მაგრამ უმეტესათ კი თვით სოფლის საზოგადოება აქ დამნაშავე, რადგან ირჩევს მოხელეებათ იმისთანა პირებს, რომლებიც არც წინათ იყვენ პატიოსნათ ცნობილი და, რასაკვირველია, რომ სოფლის თანამდებობა მათ ვერ გააკეთებდა. უმეტეს ნაწილათ მამასახლისებათ ირჩევენ იმისთანა გამოქნილ პირებს, რომლებიც ისე დაჩვეული არიან სოფლის ულუფით ცხოვრებას, რომ სრულებით გადაჩვეულან თავისი ოფლით შრომას. იკითხავთ: რათ ირჩევს საზოგადოება ამისთანა გაქნილ პირებს, როცა იცის, რომ ესენი მიიღი დამლუპველები იქნებიან? ხომ აქვს უფლება, ვინც მას უნდა, ის ამოირჩიოს და, მამასადამე, რათ არ ირჩევს კეთილ-სამიედო პირებსო?

საქმეც ის არის, რომ საზოგადოებას აქვს უფლება და ვერ კი სარგებლობს ამ უფლებით. აი, ამ გარემოების მიზეზი: მოახლოვდება თუ არა დრო მამასახლისების არჩევანებისა, მაშინვე გაიმართება ლხინი და ქეიფი იმ გამოქნილ პართ სახლებში, რომლებთაც სურთ სოფლის საქმეები ხელში ჩაიგდონ. ამნაირი მოქმედებით ეს ევატონები მოიმხრობენ სოფლის ბობოლევსა და სხვა გავლენიან-გაიძვერა პირებს, რომლებსაც შეუძლიათ სოფლის ბედ-ილბალი ისე ატრიალონ, როგორც მათ სურთ. ამ შემთხვევაში ეს გამოქნილ პირთა გუნდი ისე მოქმედებს, რომ საზოგადოების უმეტესობას — გლეხობას, ძალიანაც რომ უნდოდეს უფრო სასარგებლო და სინიღისიერი პირის არჩევა მოხელეებათ, ის მაინც ვერაფერს განდება.

საჭიროა აქვე გაეხსენოთ ის წესი, რომელსაც ხმარობენ მამასახლისების არჩევანების დროს და რომელიც სოფლის გამოქნილ პართათვის ძლიერ გამოსადეგია. ეს წესი მდგომარეობს შემდეგში: პირველათ დასახელებენ კანდიდატს და შემდეგ გამოაცხადებენ: ვის სურს ის და ან ვის არა. მაგრამ, ამ შემთხვევაში ხომ იცით გლეხის მდგომარეობა: იძულებულია დათანხმდეს მის ამორჩევაზე, ვინც უნდა იყოს უფროსისაგან დასახელებული კანდიდატი, გინდ მისი სისხლის მსმელი, რადგან, ვინცოდა რომ ამორჩიონ უიმისოთ, მაშინ აბა ხომ იცით რას უნდა მოელოდეს მისგან. კერძოთ ყველა გლეხი ამნაირი გრძობით არის გამსჭვალული დასახელებულ კანდიდატის ამორჩევის დროს, და აქედან ადვილათ გაიგებთ, თუ როგორ ხერხდება სოფლის გაიძვერების მოხელეებათ არჩევა.

ამისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ ყველა სოფლებში კენჭის ყრით ირჩევიდნ მამასახლისებს და არა ძველი წესით, რომელიც მართა გაიძვერებს უწყობს ხელს.

დ. სკელანი.

* *

დ. ხანი. წ აპრილს, აქ გაიყიდა ტორგით 14 ლუქანი, რომლებიც სახაზინო მიწაზე იყვენ აშენებული; ამის მაზეზი იყო სახაზინო ბაჟის შეუტანლობა. ეს შეუტანლობა იქიდან წარმოადგა, რომ წინანდელი წლიური გადასახადი 2 — 3 მან. თითო ლუქანზე 30 მანეთათ გადადეს. ღარიბ მეღუქნეებმა ვეღარ იკისრეს 30 მანეთის გადახდა და ამიტომ იძულებული შეიქნენ სულ მიენებებიათ თავი ამ ლუქენ-

ბისათვის, რომლებსაც დაეპატრონენ უფრო შეძლებულნი.

გასიკო გუბუელი.



ზოგიერთი ფიქრი

(„ივერია“ №№ 42,1 და 57.)



ენერლის ბარატერის მეთაურობით აფრიკაში გაგზავნილ იტალიის ჯარების აბესინელთაგან მოულოდნელმა დამარცხებამ საფრანგეთისა და რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა ძალიან გამხიარულა და, როგორც შეფერას კარგ გუნებაზე მყოფ კაცს, მადაზე გადაჭარბებულათ იცინიან. იცინიან და სითხითებენ ეს პატივცემულნი ჟურნალისტები და მწარეთაც დაიცინიან იტალიას, რომ „გაკოტრებული“ სახელმწიფოც სხვების ფენის ხმას აწყობლია ზე საკოლონიო პოლიტიკას მისდევს, რომ მისთანა დიდ სახელმწიფოთ, როგორც რუსეთი და საფრანგეთი, ვითომც კონკურენცია გაუწიოს.

წარმოიდგინეთ, რუსეთას სატახტო ქალაქების გავლენიანი გაზეთები, რომელთაც მთელი ათი წლის განმავლობაში მრავალ-გზის ტანჯული ერის ბულგარების ბედ-ილბალი ვაჰქონდათ ზე გამოჰქონდათ, დღეს მშვიდობიანი ეროვნული ცხოვრებისა, ქრისტეს საწმუნოებისა ზე თავისუფლების სახელით მენელიკს თავგამოდებით ესარჩლებიან და... დიდათ მოწყალებ-შემწეობის ხელს უშეგრენ აბაშელებსა. იმ გავლენიან გაზეთებს ბანს აძლევს სხვა დანარჩენი მთელი რუსეთის მწერლობაც და ჩვენი თვალის წინ იხატება გულის წარმტაცი სურათი, რომელიც ბევრ გულ-უბრყვილო კაცს, უეჭველია, მოხიბლავს...

ასე გაშინჯეთ, ქართული ყოველ-დღიური გაზეთი („ივერია“ № 42) გამოუცდელი ლალის პირით აქედან ნატაციებს უკითხავს და ავანტიურისტს უწოდებს იტალიის განთქმულს გარიბალდიელს მამულიშვილს და შესანიშნავ პოლიტიკურ მოღვაწეს კრისპის, რომელიც თურმე... „შინაურ სენის განკურნების მაგიერ, ქვეყანას დიდ ვანსაცდელში ავდებს თავის საავანტიურისტო პოლიტიკითა“...

ეჰ, დველოცა ღმერთს სამართალი! მართლაც და, ჩვენთვის ეთქვათ, რა დაუშავა ამ უბედურმა აბაშეთის ხალხმა იტალიას, ან თუნდ სომხებმა ოსმალეთში ევროპას, რომ მშვიდობასა ზე მოსვენებას არ აძლევენ და თავისუფლათ განვითარების გზას უსაბობენ?

ეს პატარა ერები და ზოგი მათი მსგავსი ძმები, დიდი ხანია, ქრისტეს მაღალს რჯულს აღიარებენ, დიდი სასიკეთო და იმედი აქვსთ, რომ როდისმე ბრწყინვალე და მაღლით მოსილ ცხოვრებას ეღირსებიან, შრომისა და კეთილის ურთიერთობის შეოხებით ბედნიერ მომავალს დაიმკვიდრებენ და მთელი კაცობრიობისათვის სიტკბოებითა და სიამით საესე სიცოცხლის შესამატებლათ იცხოვრებენ. რა არის ამდენი განადგურება, ტირილი და ვაება, სისხლის ღერა და ომი? საზარელს ომს, ხალხთა ქლექტას და სიკვდილს მშვიდობა და კაცთ-მოყვარება, სულ ყველა ერების საზოგადო ძმობა და ერთობა არ ჯობია?

ამ წამს, როდესაც ასეთს საკითხებს ვიძლევი, ჩვენ საპასუხოდ ჯოჯოხეთში სატანა საშინელი ხმიითა და გულთანა ხარხარებს...

სატანა მართალია... შეხედეთ დღეინდელ ცხოვრების შურის ძიებითა და მძულვარებით საესე სინამდვილეს და, თუ გულის ალაგას ქვა არ გიძვით, ძლიერათ და ღრმათ შეშფოთდებით. ევროპის საქმეთა მიმდინარეობა იქამდს მივიდა, რომ სულ ყველა განათლებული სახელმწიფონი, დიდნი და პატარანი, ორს დიდ სამხედრო მოპირის-პირე ბანაკათ არის გაყოფილი, თავით ფეხამდე თოფ-იარაღში ზის და მთელს ქვეყნიერებას, მის მრეწველობას და წარმატებას დღე-ღღეზე უქადის ისეთ ომს, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არას დროს არ უნახავს.

არა... ჩვენ არა გეწამს საფრანგეთისა და რუსეთის ჟურნალისტების გულ-წრფელობა, რადგან კარგათ ვიცით, რომ სახელმწიფოთა ასეთი ურთი-ერთი განწყობილება და გადაკიდება დაბადა თვითონ ევროპის საქმეთა მდგომარეობამ, რომელიც აშკარათ გვიმტკიცებს, რომ მშვიდობა, შერიკება, სიყვარული, დაწავრული ერთა გამოსარჩლება-დახმარება, ფუქი და უღირსი სიტყვებია და მხოლოდ სამხედრო ბრძოლის ქარ-ცეცხლმა და შემადრწუნებელმა ომმა უნდა დაგვანახოს ცხოვრების საშინელი სიმწარე და შხამი... არა გეწამს ამ ჟურნალისტების გულ-წრფელობა მით უფრო, რომ იტალიას ურჩევენ „სამთა კავშირს“ უღალატოს და საფრანგეთს მიემხროს, რომ რევანშით გატაცებულს თავის დროზე ზურგი კარგათ გაუმავროს... არა? ახლა მიბძანეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვები, თუ არა იმას, რომ ეს ჟურნალისტები „გაკატრებული“ იტალიის აფრიკაში დამარცხებით სარგებლობენ თავიანთ „დაფარულ განზრახვათა“ შესასრულებლათ და, ვინ იცის, რა ხმებს და რა უცნაურს ამბებს არ აერცვლებენ. კრისპი, მარკოზ დე-რუდინი და მასთან მთელი იტალიაც, მაინც სრულიათ არავეითარს ყურადღებას არ აქცევენ ამ პატივ-ცემულ ჟურნალისტების „კეთილ რჩევას“

და „მხოლოდ გაზვიადებულ თავ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ“ კიდევ არ არღევენ „სამთა კავშირს“ და აბაშეთს ებლაუჭებიან. არა... კრისპი მაინც ნამდვილი და ჭეშმარიტი ანტიტიურისტია...

ამავე დროს მეორე ბანაკსაც არ ძინავს. ძინავს კი არა... იტალიის ჯარების დამარცხებამ აესტროუნგრეთსა, გერმანიასა და ინგლისში დაბადა დიდი და ცხოველი ინტერესი და საქმე, იქნება, იქამდის მივიდეს, რომ „სამთაკავშირის“ მაგიერ დაარსდეს „ოთხთა კავშირი“. შარშან („კვალი“ № 50) მე მქონდა გაკვრით ახსნილი, თუ რა მიზეზმა დაბადა ევროპაში „სამთაკავშირი“ და ვამბობდი, რომ „მას, მიუცილებლათ, ბოლოს და ბოლოს უნდა მიეკედლოს დიდი ბრიტანიის გასაოცარი ძალ-ღონე და ოსტატობაც“—მეთქი. და, აი, ეს დროც თან-და-თან ახლოვდება, ვგონებ... მაგრამ, ინგლისის განმარტოებით ყოფნა ზემო დასახელებულ ჟურნალ-გაზეთებს დღეს სიცილით არ ყოფნისთ და სისუსტეს, უძლურებას უკიყინებენ.

შესაძლებელია, ინგლისმა განმარტოებით ყოფნა ირჩიოს ისე, როგორც დღეს არის. მაგრამ ესეთი ყოფნა იმისი სრულებით არ ნიშნავს ამ სახელმწიფოს სისუსტეს. დიდი-ბრიტანია, რომლის მსგავსი სახელმწიფო, არც მიწა წყლის სურცითა და მკვიდრთა რაოდენობით (თავის კალონიებიანა, რასაკვირველია), არც სიმდიდრითა და ცოდნით, არც ოსტატობა-გამოცდილებით და წარმოუდგენელი სამხედრო ძალით, ჯერ ქვეყნიერებაზე არც ყოფილა და არც არის, ისე თავისთავათაც, მარტო-მარტო ძლიერია: მტრისათვის ფრიად საშიშარი, მეგობრისათვის შემწე, მარგებელი და ქირის გამყოფი. ინგლისს დღეს ისეთი უპირატესი, შეუღარებელი როლი უჭირავს, ისე ბატონობს თითქმის, რომ ძალიან ეადვილება თავის სახელმწიფო ინტერესების დაცვა და მთელი გასაოცარი მოსალოდნელი ომის ბედ-იღბალიც, იმისი ასე თუ ისე წაყვანა, ვათაეება, თუ გადაწყვეტა, მხოლოდ და მარტო ინგლისის, ამ გასაშტერებელის, ზღვის ვეშაპის ხელშია. ჩვენ ვამტკიცებთ, მხოლოდ არა ეხსნით მიზეზს კი ჯერ-ჯერობით, რომ საშინელი, თავ-ზარ-დამცემი მოსალოდნელი ომის საბელის ორივე წევრი, წარმოიდგინეთ, „სამთა“ და „ორთა კავშირს“, ე. ი. იმათ კი არ ეჭირებათ ხელში, ვინც იომებენ, არამედ ინგლისს. ეს ამბავი კარგათ იციან ევროპაში და სწორეთ აქ მარხია მიზეზი იმ გაბრაზებისა და მძულვარებისა, რომელიც ამას წი-

ნათ გამოუცხადეს ინგლისს და ზოგიერთებმა... სომხების საქმეშიაც უღალატეს. მაგრამ ეს ხომ ინგლისისთვის სულ წერილიმანია... იგი უფრო შორს იხედება.

სომელები.

(შემდეგ იქნება)

ი მ ე დ ი

კიდევ იმედი... კვლავ იმედი... მსოფლიო იმედი... სსკა ანა ფუჩი?! ნუთუ იმედის მოლოდინშია უნდა დავლიო ზიძქეში დღეინ! მაგრამ ასე ჯობს, დეე იმედა ბრძოლას იწვიოს ნატკიგინი. გუფი, დეე ცრემლებმა მოწიფონ უამინი — მეტე ადვილათ გაავლის სნული. მე ამ იმედით აღფრთოვნებული ზინ სწორეთ გუცქერ მღავრთ უკმესობას, გინც რომ სსკის ოფლით იკვებუბან, საფრათ სმარობენ „ქობა-ერთობას“. მე ამ იმედით აღფრთოვნებული სიამით განკუჭრეტ დიდებულ სსანს, რას მაშედალ გუფლით აღმოსეთიქილი გმინვა „განთიადს“ ამცნებს ჭეყანას!

ი. კვდოშვილი.

ბის და განვითარებისაგანო (მარქსი). მას აქეთ რაც ხალხის ნაწილთა შორის შრომა დაიყო, ერთმა იკისრა მიწის შემუშავება, მეორემ მტერთან ბრძოლა, მესამემ ხელოსნობა და ვაჭრობა და სს., მუდმივი შინაგანი ბრძოლის, ინტერესთა შეტაკების და ერთი მეორის დამარცხების საძირკველი ჩაიყარა. თვითოეულ ამ ნაწილს, ანუ კლასს, სურს ყველა დანარჩენი დაქვემდებაროს და თვითონ გაბატონდეს. ეს მისი ლტოლვილების დედაბოძა, ეს მისი მოქმედების ჩარხია 1). ბრძოლა ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათისაა. ის კლასი, რომელიც ამ ორ ნიადაგზე გამაგრებულია, გამაგრებულია ყველა დანარჩენ ნიადაგზე. ის დგას ერის ცხოვრების სათავეში, ის არის ოფიციალური წარმომადგენელი მთელი ხალხის, აწყობს ყველაფერს თანახმით თავისი ინტერესებისა, ჰქმნის ახალ ზნე-ჩვეულებას, მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სს. მეორე მხრით, დაქვეითებული, უკანა საფეხურზე მდგომი თავის მხრით მიილტვის ზევით, რომ იქ მდგომნი გადარეკოს და მათი ალაგი თვითონ დაიჭიროს. მისი ასეთი მიღრეკილება ავითარებს მასში ენერგიას, აუკეთესებს საბრძოლველ იარაღს, წერთნის გონებრივით, ამაღლებს ზნეობრივით; ერთის სიტყვით, ის ჰქმნის მეორე ქვეყანას. ამ სახით მოპირისპირეთ დგება ორი ძალა: ერთი იცავს არსებულ მის სასარგებლო წყობილებას, მეორე ანგრევს მას და აშენებს ახალს. პირველი კონსერვატორია, ცხოვრების უკან დამჭერი, მეორე პროგრესისტი, ცხოვრების წინ გამაქანებელი. მაგრამ მისი პროგრესისტობა თავდება მაშინვე როგორც კი მიზანს მიანწევს. ახლა ის მეცადინეობს არსებული მდგომარეობა დაიცვას და მისი მოწინააღმდეგენი ქვეყნის მოლალატეებათ დასახოს. ასე მომდინარეობს კულტურულ ხალხთა ისტორია და უეტველათ ამას უნდა ევმორჩილებოდეთ ჩვენც.

1) განსუთქილება წარმოებს ანა მარტო კლასთა შორის, ანამედ თვითონ კლასშიაც. ახნაური ახნაურს ერძების, გლეხი გლეხს, კაპიტალისტი კაპიტალისტს, მუშა მუშას. ეს წარმოდგება იქიდან, რომ ანსუბობენ საზოგადოდ, კლასები ე. ი. ისეთი ზიზობები, რომელთაც დაწარგულის და დამსაგვრელის წარმოშობა შეუძლიათ. ზირეული ანავითარ დონეს არ ზოგავს ოდონდ კი გამოვიდეს თავის მდგომარეობისაგან, სოლო მეორე თავის მსრით ყოველ დონეს სმარობს ის არ გამოუშვას იქიდან და მისი რიცხვი რან შეიძლება გამძაველს თავის სსანკებლოთ. მაგრამ რცა დაწარგულნი იგნებენ, რომ ცალ-ცალკე ბრძოლით ანაფერი გამოდის, ერთდებან და იერში მიაქეთ სერთო მტერსე. მაშინ უკანასკნელაც ამ გზას ადგება და ბრძოლას კლასთა შორის აშკარა, საქვენთა.

მესამეცე წლების მადვარენი

და დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო.)

VII *)



ერთი უდიდესი კანონი, რომელიც კი ოდესმე აღმოუჩენიათ არის შემდეგი: საზოგადოების წინსვლა, ცხოვრების განვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივი განხეთქილების აღორძინე-

*) ის. „კვადი“ № 15.

საქართველოს მუდმივი შეიარაღება, მტერთან ბრძოლა, გამარჯვება თუ დამარცხება, აღორძინება თუ დაკლება მჭიდროდ შეკავშირებულია შინაგან, თავდა-აზნაურთა შორის, ბრძოლასთან. თვითოეულ სოფელს, ხეობას და მაზრას საკუთარი ბატონი ჰყავს. ის უფრო შეძლებული და გავლენიანია, ვისაც მეტა მიწა-მამული და ყმები ხელთ უპყრია. აქედან წარმოდგება განხეთქილება ბატონთა შორის. ესენი დაუცხრომლათ ერთმანეთს ებრძვიან. გამარჯვებული კიდევ უფრო მძლავრდება და თავისუფლათ პარაზიტობს, დამარცხებული, თუ შიგნით ვერაფერი გააწყობს, გარბის უცხოეთში, შემოჰყავს უცხო ჯარი და ომს უცხადებს ქვეყანას. გლეხ-კაცობა აქ არაფერ შუაშია, არაერთი ხმა არ აქვს. მას მხოლოდ უბრძანებენ, ომში გაიყოლიებენ, სამუშაოთ გაგზავნიან, ერთმანეთს აბრძოლებენ, სისხლს დააღვრიანებენ. გლეხ-კაცი, მართალია, შემთხვევისთანავე ეწინააღმდეგება, ებრძვის თავის ბატონს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ბატონი მონახოს. საზოგადოთ ბატონების წინააღმდეგ ის ხმას არ იღებს, ეს აუცილებელ წყობილებათ მიაჩნია. ამნაირი ბრძოლის დაბადება ნიშნავდა, რომ ხალხს უთავად-აზნაურთ შუეძლია ცხოვრებაო. ეს კი ხანგრძლივი განვითარების შედეგია. გასულ საუკუნეებში გლეხთა არეულობა ხშირია ევროპაში, ჩვენში კი იშვიათია. რატომ? იმიტომ რომ ევროპა ადრე დადგა მოქალაქობრივ გზას და უსარგებლოთ გადაქცეული წოდება ტყირთი შეიქნა. საქართველოში მძლავრი მოედანი ისე საქირო იყო გლეხისათვის, როგორც სმა-ჭამა. სუსტი ბატონის ყმას გარეშენი ადვილათ დაარბევენ, გალახენ, მოკვლენ და სხ. ამისათვის გლეხი მუდამ „დიდ“ ბატონს ეძებს, რომ საუკუნოთ ეყმოს. ცხადია, გლეხობა აზნაურობაში ხედავდა სასარგებლო წოდებას, რაიცა იყო მიზეზი ფეოდალთა თავ-აშვებულობის და ჩვენი უკან ჩამორჩენის. ეს ხანა საშინლათ გაგძელდა და ბოლოს პოლიტიკურათც დაგვცა.

საიდან უნდა გაჩენილიყო ისეთი ძალა, რომელიც ფეოდალურ წყობილებას შეებრძოლებოდა და ძველს ახალით შეცვლიდა? გლეხ-კაცობა არსებობს დიდი ხანია, მარა ასეთი ძალა ვერ წარმოადგინა. გლეხსა და ბატონ შორის განხეთქილების განუფითარებლობა პირველი საბუთია ცხოვრების განუფითარებლობისა. მარა შეეძლო კი გლეხობას რაიმე შეგნებულათ სამერმისოთ გამოსადეგი, ბრძოლა გამოეცხადებოდა? არასოდეს ევროპაში თავისი თაოსნობით მას რევოლუციონური როლი არ უთამაშია. მე-XVI საუკუნის გლეხთა ომი გერმანიაში მიმართული იყო უფრო ძველის აღდგენის, ვინემ ახლის შემოღებისაკენ. მათ სურდათ მიწის საერთო მფლობელობის

(Markgenossenschaft) ხელ ახლა აღდგენა, რაიცა ახალ ვითარებამ, ფულის ტრიალმა, დაარღვია (ესენიც „ნაროდნიკები“ ყოფილან!). საფრანგეთის დიდ რევოლუციამ გლეხობაც თან ჩაითრია. Guerre aux châteaux, paix aux chaumières-ბრძოლა სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს — იძახოდა საფრანგეთის გლეხ-კაცობა. მაგრამ ვანა რევოლუცია მისი თაოსნობით დაიწყო? რევოლუცია პირველათ პარიჟმა ასტეხა, მას მიემხრენ პროვინციის ქალაქები ჭ ბოლოს სოფლებიც. აშკარაა, ეს ქალაქის და არა სოფლის საქმეა. სწორეთ ამიტომ შეიქნა ის შესანიშნავ ისტორიულ მოვლენათ.


ევროპის ფეოდალური ხანა დასცა ეპქრობა-აღებმიცემის ხალხმა ე. ი. ფულის პატრონებმა, ბურჟუაზიამ. ეს კლასი უეჭველათ გლეხობისაგან წარმოიშვა, მაგრამ ის სარბიელზე გამოვიდა არა როგორც გლეხი-სოფელი, არამედ როგორც ბურჟუაზია-მოქალაქე. ჩვენ ისტორიულ წასულში ასეთ მიმართულებამ ფეხი ვერ მოიკიდა. ეპქრობა-მოქალაქეობა ნაციონალურ ნიადაგზე ვერ დადგა, ქართველს ეს ხელობა ეთაკილებოდა და სომხები ხომ ვერ გამოვიდოდენ საქართველოს ცხოვრების განმანახლებლათ (იხ. ზევით).

ამ საუკუნეში ხალხში ფულის ტრიალი ბატონ-ყმობის მოსპობამდინაც ვავრცელდა. ეს არ იყო ცხოვრების დედა-ბოძი, მარა ვინც შეიძინდა კიდევაც გამოიყენებდა. ხშირია ისეთი მაგალითი, რომ გლეხ-კაცს ფულის საშუალებით ბატონისაგან თავი დაეხსნას, ე. ი. სანამ მას კანონ-მდებელი მოეშველებოდა, ფული მიეშველა. ცხადია ფული მისთვის თავისთვის დასაცავ იარაღათ გახდა. ეს ლითონი თავიდანვე გლეხს გამოეხარჩლა. ფული შეიქნა მის ქვეყნიურ ღმერთათ, მას ეტრფის და თაყვანსცემს. ამისათვის ყველას ფულის შოვნის სურვილი ძველ-რბილში უნდა გაჯდომოდა. ასეთი მიდრეკილება ფრთას შლის მესამოცე წლების შემდეგ. განთავისუფლებული გლეხი ჩაერია იმ ხელ-ჩართულ ომში, რომელსაც ბრძოლა არსებობისათვის ეწოდება. მრავალ მარგანს ბედმა გაუღიმა და წაეიდა წინ. ხელი მოკიდა ეპქრობას, შეიძინა ქონება და ეს ოდესმე უკანასკნელი პირი საპატრო პირათ გადაიქცა. ასე თან-და-თან შედგა ქართველი ეპქარი და მრეწველი ხალხი, რომლის ძალა ფულზე არის დამყარებული... აზნაურობა ჯერ კიდევ ტყბილ ოცნებაში იმყოფება, ძველ ისტორიულ გადმონაცემს იცავს, ეპქრობა კეთილშობილთ არ ეკადრებაო. ის მთელ თავის ძალ-ღონეს შთამომავლობითი უპირატესობაზე და მიწა-ადგილებზე ამყარებს. ვისაც უკანასკნელი აკლია პირველით ტრიაზობს, საზოგადოებისაგან პატვის თხოულობს


იმ საბუთით, რომ პაპაჩემმა აზნაურობა იშოვაო. მაგრამ როგორც ვიცით, დღევანდელი დრო ფულის დროა, აზნაურს მიუხედავად მისი კეთილშობილებისა, ფული ესაქიროება, ფული კი ვაჭრების ხელში ტრიალებს. ამნაირათ, ისკენება ახალი ურთიერთობა კეთილშობილთ და არა-კეთილშობილთა შორის.

პირველი თან-და-თან ვალიანდება, ქონება ეკარგვის, მეორე თან-და-თან მდიდრდება, ქონებას იძენს.

თავად-აზნაურობა თავის მდგომარეობას მეურნეობის დაქვეითებით ხსნის. რატომ დაქვეითდა მეურნეობაო, რომ ჰკითხოთ, ის მზეს, მთვარეს, წვიმას, გვალვას, სეტყვას, ერთი სიტყვით, ბუნების



ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
ს
ტ
ყ
რ
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ყ
რ
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ



ლონდონის ხიდი.

ყველა მოვლენას ჩამოთვლის და ზედ დაატანს აი, ესენია მიზეზიო. ამ ნაირათ გამოდის, რომ ეს მისი დამღუბელი ბუნება ამ საუკუნეში და ისიც ამ უკანასკნელ წლებში აღმოჩენილა! ეს, რასაკვირველია, თავის მოტყუება, გულის გაკეთებაა. ერთი, რომ თვით პირველი წინადადება ყალბია. დღევანდელი ჩვენი მეურნეობა დაქვეითებული კი არა, ვაცილებათ წინ არის, ვინემ ამ 20—30 წლის წინათ იყო. ხოლო საქმე იმაშია, რომ დღეს არ ყოფნით, ბევრი სურთ და ამიტომ გაიძახიან მოგვემარეთ, დაცემული მეურნეობა ფეხზე დაგვყენებთო. ქვეყანა ეხმარება, მარა მაინც არაფერი ეშველა, ის მაინც „დაცემულია“. რა ჯადო მუშაობს აქ? ჩვენებურ მემამულეს ფული ისე სჭირია, როგორც ვეროპიელს, მაშინ როდესაც მამულის წარმოება ქართული აქვს, რას ნიშნავს ვეროპიული მეურნეობა? აი რას: ნაკლებ საერცეს მეტი ნაყოფი გამოაღებო. ეს ხდება დიდი კაპიტალის დაბანდებით. ამას უწოდებენ ინტენსიურ კულტურას. როგორც ხედავთ, ეს ერთიანათ აშენებულია ფულზე, მეტი ფული და ნაკლები მიწა. ჩვენში ეს ერთიანათ შებრუნებულია, აქ არის: მეტი მიწა და ნაკლები ფული. ეს ფორმულა რომ შებრუნდეს, ამისთვის აუცი-

ლებელია: ფეოდალური მიწათ-მფლობელობა დაირღვეს, საკუთრება დაიკონოს, მოგროვდეს ფულიან კაცის ხელში და სხ. ჩვენ დღეს ამ გზაზე ვართ. იქ, სადაც საკუთრება ნაწილდება, პატარადება, ეკონომიური წარმატება ჩქარი ნაბიჯით მიდის, როგორც ამას დასავლეთი საქართველო მოწმობს. ეს არის, როგორც შედეგი, ისე მიზეზი ბურჟუაზიული წყობილების აღორძინებისა. ბურჟუაზიული მიწათ-მფლობელობა და წარმოება ძირიანათ ეწინააღმდეგება ფეოდალურ მიწათ-მფლობელობას და წარმოებას, რასაც ხატავს ზემოთ მოყვანილი ორი ფორმულა. დღეს ესენი ებრძვიან ერთმანეთს, ამ ბრძოლაში მარცხდება ის, ვინც უკანასკნელი მიდრეკალების წარმომადგენელია, — თავად აზნაურობა, იმარჯვებს ფულის პატრონი — ბურჟუაზია.

ამით კიდევ არ იხსნება შემდეგი საკითხი: რატომ დღევანდელ მემამულეთ არ შეუძლიათ პირდაპირ კაპიტალისტურ წარმოებისაკენ გადავიდნენ? აი, ამის პასუხი: ფული რომ წარმოებაში დააბანდო, საჭიროა ის გქონდეს; მეურნეს ფულის შექმნა შეუძლია სამეურნეო ნაწარმოების გაყიდვით. გაყიდვა მოასწავებს იმავე დროს ყიდვას, გამყიდველი მყიდველს,

ეპარო მუშტარს. ყიდულობენ იმ ნაწარმოებს, რომელიც მყიდველს არ შეუმოწმებია და, მაშასადამე, არა აქვს. ეს მოითხოვს შრომის განაწილებას. ჩვენში დღეს შრომის განაწილება სუსტია, ერთი აწარმოებს იმას, რასაც მეორე აწარმოებს. ისინი ერთმანერთისაგან აღარას იყიდიან. შრომის განაწილება შედეგია შრომის განვითარების, ეს კიდევ შედეგია მრეწველობის და აღებ-მიცემობის. ყველა ეს ჩვენში ახალი დაწყებულია და მისი გაძლიერება დროს თხოულობს, ხოლო ფულის საჭიროება დროს კი არ თხოულობს, ფული ყოველ დღე, ყოველ საათში გვჭირია. გავყვეთ ქვეით. რადგანაც ჩვენში შრომა საკმარისათ განვითარებული ²⁾ არ არის, მეურნე მსოფლიო ბაზარზე ევლარ უძლებს უცხოეთის მეტოქეთ, რომელნიც უმაღლეს ეკონომიურ საფეხურზე დგანან და, მაშასადამე, ნაწარმოების შემუშავებაც იაფათ უჯდებთ. ამნაირათ, ჩვენი მეურნესათვის ეიწროთ შემოიხაზა როგორც შინაური, ისე უცხოეთის ბაზარი. აი, რატომ დღევანდელ მემამულეთ არ შეუძლიათ პირდაპირ კაპიტალისტურ კულტურაზე გადავიდნენ. ³⁾ ჯერ ისინი უნდა დამარცხდნენ, დეალიანდნენ, გაკოტრდნენ, რომ მათი საკუთრება დაიყოს, გადავიდეს ფულიანთა ხელში და ინტენსიური კულტურა გამეფდეს. აი, რა ნაირ მსხვერპლს თხოულობს ჩვენი გავეროპიელება! ამ შემთხვევაში ევროპიელობის წარმომადგენელი ბურჟუაზიაა, მსხვერპლი კი მემამულე თავად-აზნაურობა.

ნ. ჟორდანია.

(შემდეგი იქნება)



²⁾ შრომის განვითარება ნიშნავს შრომის განყოფიერებას ე. ი. როცა ერთ და იმავე დროს განსჯილობაში კეთდება მეტი საქმე, მეტი ნივთი, ვინემ წინეთ, ამ შემთხვევაში თვითოეული დაშუშაგებული საქონლას ფასიც ნაკლებია.

³⁾ გასულ საუკუნეში პრუსიის მეფემ ფრიდრიხს დიდმა მოინდომა ინგლისის მისეღულებით ინტენსიური კულტურის შემოღება. ყველა მემამულე, რომელიც კი ამ გზას დადგა, გაკოტრდა. დანახარჯის ნასეგარინტ ვერ აიღეს იმიტომ, რომ ფართო ბაზარი არ ჰქონდათ. ჩვენი მემამულენი ამ ჟამათ, წასაკვირვებელია, უფრო კარგ ბირობებაში იმყოფებიან, ვინემ გასული საუკუნის პრუსიის მემამულენი.

ბ ა შ ი — ა ჩ უ კ ი . *)



მ ხანებში არეულობა მოხდა იმერეთში და ქართლის მეფე ვახტანგი, შახ-ნავაზათ წოდებული, გადაიწვიეს, რომ მისი შვილი არჩილ იმერეთის მეფეთ დაესვათ. იმერეთის დიდკაცობა დიდი პატივისცემით და ძღვნით დაუხვდა დიდებულ სტუმარს. სიუხვით ყველას წერეთელმა გადააქარბა, თუმცა მეფის გული კი აბაშიძემ უფრო მოიგო და ბერიც არა დახარჯვია რა; მხოლოდ ათი ახალგაზდა ქალიშვილი, ერთი მეორეზე უშვენიერესი, მიართვა; ყვენისთვის საჩუქრათ დაგვირდებოა. ამ მცირე ძღვნით ისე კმაყოფილი დარჩა მეფე, რომ სხვების განძი ჩალათაც აღარ ჩაუგდია. წერეთელი, როგორც მეტოქე და მოქიშპე აბაშიძისა, ყველაზე უფრო გულნატკენი დარჩა და დაღონდა. კიკო ბაქრაძემ შეურჩია დრო ბატონს და მოახსენა:

— თქვენი ქება დიდება თქვენი ყმების ქება დიდებაა, თქვენი ძღვეა მოსილობა ჩვენი გამარჯვებაა, და ნუ გვიხამ მისთანა საქმეს, რომ აბაშიძის საყმოს სასაცინო გავხდეთ! მეფე რომ ქართლში გადაბძანდეს და წერეთელზე აბაშიძე უფრო პატივით მოიხსენიოს, ეს ჩვენი სიკვდილი იქნება.

— მეც მაგას ვწუხვარ, ჩემო კიკო, მაგრამ რა ექნათ? — მიუგო ბატონმა დღონებით. — ხარჯი არ დამიკლია, თავი არ დამიზოგავს, საღარო თითქმის დავაცალიერე და მეტი რალა მექნა?

— ჩემო ხემწიფევე, თუ არ გამიწყრებით, ჩემი უგუნური ჭკუით ისეთ რამეს გირჩევთ, რომ მეფის გულიც თქვენ დარიჩინოთ და აბაშიძის ძღვენიც დაეიწყეთ; ისეთი რამე მიუძღვენით, რომ მართლა გასაკვირველი და საარაკოც იყოს!

— თქმა ადვილია, მაგრამ რა გამოცემბნოთ მაგისთანა?

— ღმერთი მოწყალეა! რახან ღამაჲ ქალებზე კი მივარდა საქმე, არა გვიჭირს რა, ბედი ჩვენსკენ არის, ღვიმის მონასტერში ორი ღვინი იზღებინ, ტყუბის ცალები. ერთი მეორესიგან არ გაიჩრევა და არც მათი მსგავსი რამ ნახულა ჯერ ჩვენში.

— მერე და ობლები არიან? უპატრონო?

— თითქმის, ჩემო ხელმწიფევე! ჩემს მეტი აღარაინა ჰყავს და მე ან ჩემი თავი რათ მინდა და ან ისინი, თუ არ თქვენი პირის სანაცვლოთ? დედა იმათ აღარ ჰყავთ და მამა, ერთი ძმა ჰყავდათ და ისიც დიკარვა, ამდენი ხანია, მისი ასავალ-დასავალი აღარა ეიცით რა; მეც ხომ უტოლშვილოთ გადაე-

*) იხ. კვლე № 15.

დივარ ეს არის და თქვენს გარდა პატრონი და ქირის უფალი ვინა ეყოლებათ? გამოიყვანეთ ორივე და მიუძღვენით მეფეს, ისინი სადაც უნდა იყვნენ, სასახლის კარზე, საქრისტიანოში თუ საურჯულოში, მაინც არა უშავთ რა; მათი სილამაზე და მზეთ უნახაობა არც ერთს გზას არ დააკარგინებს.

დიდხანს ყოყმანობდა წერეთელი; მისი ნაერთ-გულარი ბაქარას შეილება დასაკარგავთ არ ემეტებოდა, მაგრამ აბაშიძის მემურნობამ დარია ხელი; გამოიყვანა ორივე დები და წასვლის დროს მიუძღვნა ეახტანგს. როგორც მეფე, ისე მთელი მისა ამაღლა გაცემული იყვენ ბაქარაძის ქალების სილამაზე, მით უფრო რომ ერთს მეორესაგან ვერ არჩევდნენ. მეფემ აღარ იცოდა, როგორი მადლი გადაეხადა წერეთლისათვის და დიდძალი ყმა და მამული უბოძა ზემოქართლში. თვითონ კმაყოფილი დაბრუნდა ქართლისკენ და დაიბარა, რომ როგორც ეს ორი მზეთ უნახავი, ისე დანარჩენი ათი ქალიშვილიც, თორმეტივე ერთათ გამოემგზავრებიათ.

მისი ნება ასრულდა, მაგრამ შიგ შუაგულ ქართლში ერთი უცნაური და უჩვეულო რამ მოხდა; მეფის ბარგს დაესხნენ თავზე ავაზაკები მოულოდნელათ და თორმეტივე ქალი მოიტაცეს; ნიუიულობისათვის კი ხელი არ უხლიათ.

მეფე ეახტანგს რომ მოხსენდა ეს თავხედობა, გარისხდა, ბძანა გზების გაკრა, მთელი სამეფო შესძრა, იმერეთშიაც ბევრი ეძებეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერა გაიგეს რა. ხალხში კი ჩუმათ ლაპარაკობდნენ აქა-იქ: „ეს ბიჭობა, კახეთში რომ გამოჩენილი ბაში აჩუკა, მისი საქმე უნდა იყოსო“. დიდმა ხანმა გაიარა ამას შემდეგ.

ქილაობის შემდეგ აბღუშილ თავის ქერქში ევლარ იყო; გულში ჩაიდვა ბაში-აჩუკის ჯავრი და სულ მარტოთ მარტო აქეთ-იქით დახეტებოდა მთელი დღე; უდაბურ ტყეებშიაც კი დადიოდა, რომ ეგება სადმე წავატყდე ჩემ მძლეველს, სამაგიერო გადაუხადო და სირცხვილიდან გამოვიდეო.

მარტო აბღუშილი არა ფიქრობდა ბაში-აჩუკზე, სხეებსაც ბევრს ჰქონდა გატეხილი ძილი, მაგრამ მიზეზი კი სხვა-და-სხვა იყო; პირველს ეაქკატური ჯინი აშფოთებდა და სხეებს კი ათასი ოქრო არ ასვენებდა. ამ უკანასკნელებში ყველაზე უფრო მეტათ ჰქონდა საღერღელი აშლილი თიმ-სალმაკოს. ეს

იყო თელავში მცხოვრები ტერტერას ქერივი, კუი-თა და მოხერხებით განთქმული; უამისოთ არც ქირი და არც ლხინი არ იქნებოდა, ავშიაც გამოსადეგი იყო და კარგშიაც, და მასთანაც განთქმული მაქანკალი. ატყდებოდა თუ არა სადმე ახალგაზღვებში ტრფობის ცეცხლი, ეს მაშინვე, თითქო ტრუსის სუნი ეცაო, იქ გაჩნდებოდა და დაატრიალებდა ჯარას; დიდსა და პატარას ყველას იცნობდა, ყოველ ოჯახში შინაური იყო, ყველასთვის საჭირო და გამოსადეგი, მაგრამ არავის არ უყვარდა. გაიგო თუ არა, ბაში-აჩუკის თავი ათას ოქროთ დააფასესო, ან-გარებამ აიტანა და ამბობდა გუნებაში: ხუმრობა არ არის ამდენი ფულიო? ჩემი ხერხი და ეს ერთათ ქეყანას უნდა წაღმა დაატრიალებენ და უნდა უკუღმამო. ბაში-აჩუკი როგორმე მე უნდა ჩაეიგლო ხელშიო, როგორ შეიძლება, რომ მისი ბინა და ვინაობა ხალხში არავინ იცოდესო. მარტო ის ხომ არ არის გაეარდნილი, მასთან ერთათ ვინ იცის, რამდენი ახალგაზღვებიაო! როგორ დაეიჯერო, რომ ერთ მათგანს მაინც ვინმე სოფელლებთან დამოკიდებულება არა ქონდესო? — ეს რომ გადიწყვიტა გუნებაში, კიდევ შეუღდა საქმეს; სადაც კი მიჰქარავდა ყურს, ამა და ამ სოფელში ნაძრახი ქალი ვინმე არისო, იმდენს ეცდებოდა, რომ გასცნობოდა და დამეგობრებოდა. ზოგიერთ ოჯახებში ნათელ მირონიც კი შეიტანა, მაგრამ ეერას გახდა, ვერა გაიგო; მხოლოთ ეს კი აიღო აზრათ, რომ თუ ვინმე იცის მათი ამბავი, თვედორაანთ მეღანამ უნდა იცოდესო და დაუხშირა იმასთან სიარულს. თვედორაანთ მეღანა თელავის მახლობლათ ერთ პატარა სოფლის განაპირას, ტყის პირათ, ცხოვრებდა ორი პატარა შვილით; ქმარი თათრის ჯარში ყავდა ჩაფრათ შესული, თითონ ოროლ თევობით თვალით ვერა ჰხედავდა. სილამაზით ნაქები იყო და ცოტა არ იყოს, სახელიც გატეხილი ჰქონდა თიმ-სალმაკომ ერთხელ, სტუმრათ რომ მივიდა მასთან, სახეზე უსამოვნობა შეატყო და განგებ იგვიანებდა წასვლას, სანამ მოსალოდნელმა აედარმა მართლა არ მოასწრო; შეიქნა ერთი ჭეკა-ქუხილი და თავსხმა, ასე რომ სტუმარი უნდა დარჩენილიყო მეღანოსთან. მასპინძელს შფოთვა თან-და-თან უფრო ეტყობოდა და ეაწმისი მზადებას დაუჩქარა; ხელათ გაშალა სუფრა, გვერდში ამოიდგა ერთი დოქი კახური და ზედი-ზედ უსხავდა

სტუმარს. აძალებდა: „დალიე, ღმერთმა შეგარგოს და ტკბილათ დაგეძინებო.“

თიმ-სალმაკო სიცილით ეუბნებოდა: ჩემო ნათელი დედაე, ეგ რომ არ დავლიო, ისეც ტკბილათ დამეძინებო. მისთანა წამალს დავყარი ხოლმე ვახშმით ჩემ საქმელს, რომ გათენებამდის ზარბაზნებიც რომ თავზე მახლონ, მაშინაც ვერას გაეიგებო, მხოლოდ ფერად-ფერადი სიზმრები, თითქო სასუფეველში ვიყო, ი'ე დამტრიალებს თავსაო, ერთხელ რომ შინჯო, შენც, ჩემი არ იყოს, მერე ხელს ველარ აიღებო. ეს რომ თქვა, ამოიღო ჯიბიდან პატარა გამოკრული პარკი, გაშალა და ფხენილი შეჭამდს მოაყარა, ხაშხაშისაგან შეზავებული ძილის წამალიაო. —შენ კი ვერ გირჩევე, ჩემო ნათელიდედაო, ბალებების პატრონი ხარ და ღამე ბევრჯელ გამოღვიძება დაგქირდებო; მე კი რომ დავეგდები რუმბივით, გათენებამდე ველარას გავიგებ, მკედრის ძილი წამიღებ-სო. —მოუკრა თავი პარკს და ჩაიდვა ისევე ჯიბეში.

ჯერ შუა ჭამამდე არ იყვენ მისული, რომ თიმ-სალმაკოს მთქნარება დააწყებია და თვალები მოეპარუწა; ერთი-ორი წაილულულა გაუგებრათ და ჩაკიდა თავი... ძილი მოეკიდა, მელანომ ძლივს მიათრია კუთხისკენ, მიაწვინა ლოგინზე და საბანი გადააფარა. სტუმარი გაიშმუნა, გადაბრუნდა კედლისკენ და ამოუშვა ხერინი. მელანომ ღიმილით წაიჩურჩულა: მეორეთ მოსვლამდისაც ნუ გამოგლეძებიაო და გამოტრიალდა სუფრისკენ, მაგრამ ალაგების ნაცვლათ ხელ-ახლა დაუწყო გაწყობა; მიდგა თაროზე, გადმოიღო იქიდან ცივთ მოხარშული დამზადებული დედალი, ყველი, რველათ მოხარშული კვერცხები, ხელადით ღვინო, გააწყო სუფრა და ხელ-პირი დაიბანა, თმა დაეარცხნა, წითელი ბაღდადი მოიხვია თავზე და კოპწიაობა დაიწყო. რამდენჯერმე მოიხვდა თიმ-სალმაკოსკენ, მაგრამ ის ვერას ხედავდა; პირ-შექცეული კედლისაკენ ეგდო უძრავთ და ხერინავდა. მელანომ მიიტანა თავისი ძველი თავსაფარი და თავზე გადააფარა, გამობრუნდა, დაჯდა ცეცხლთან სამფებ სკამზე და კარებისკენ იწყო ყურება. დადხანს აღარ გაუეღია, რომ ეზოში ძაღლმა დაიყეფა და შეუტია ვილაცას, მაგრამ მალე გაკმინდა ხმა, წუწუნნი დაიწყო; მელანო ზეზე წამოვარდა და მიაშურა კარებს გასაღებთ; თავ მომძინარებულ თიმ-სალმაკოს გულმა დაუწყო ძვრა, მაგრამ არ განძრეულა.

სახლში შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი, გლახა ბაქრაძე, მოიხსნა სველი ნაბადი და მიაყუდა კედელზე. მოიხსნა ყაბალახი, უკან ზურგისკენ გადაიღო ფაფანაკი, თოფი იქვე მიაყუდა, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი ტანზევე გაისწორა და ღიმილით გადაეხვია მელანოს. ქალი წურბელასავით ჩამოეკიდა კისერზე; დიდხანს შეტყუებულსავით იყვენ თავ-დაეიწყებულნი...

ახალ მოსულს უცბათ ხერინი შემოესმა და შეკრთა.

—ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლე, ჩემი ნათლია. არის, ტერტერას ქერიეი, ხაშხაშ ნაჭამია და სძინავს. შენ მტერს ნურა გაუგია, მაგან ვერა გაიგოსრაო. უამბო ყველაფერი, მაგრამ ეჯი მანც იქვენულათ აქნედა თავს. თავის სიმართლის დასამტკიცებლათ მელანომ ჯინჯვალი დაუწყო მძინარს, ხან ფხებში მოაელო ხელი, ხან თავი აუწია, ბერი აცოდილა, მაგრამ ვერ გამოაღვიძა. ერთხელ კი წაიჭუტყუნა. მძინარმა ჭ ამოუშვა ისევე ხერინი.

—დაესენ, ნუ აწვალებო! —მიადანა ბაქრაძე. —სანამ ეგ გამოიღვიძებდეს, მე აქედან შორს ექნე-ბიო; —მიუჯდა სუფრას და საყვარელიც გვერდში მოისვა.

დიდხანს რქიკიკის ისე, როგორც შეყვარებულთა რიგია; სხვათა შორის ქალმა ჰკითხა: —ბაში-აჩუკს რათ გეძახიანო? —და ეაქმაც მიუგო, ეს აქ დამარქვეს თათრებმაო, ფაფანაკით რომ მხედავენ, უქულო ვგონივართ, თავ-მოხდილა, და მათებურათ ბაში-აჩუკი თავ მოხდილსა ნიშნავსო.

ამისთანა ამბები ბერი ილაპარაკეს ვახშამზე; ბაში-აჩუკმა ერთი კვირის, როგორც თავისი, ისე თავის ამხანაგების თავგადასავალი დაწვრილებით უამბო მეგობარს; ნაევანშვეს ცოტა მოიალერსეს... მეორე მამლის ყივილზე ეჯი გამოესალმა ქალს, უთხრა, დღის წორამდის ნულარ მელიო და გაუღვა გზას.

ტერტერას ქერიეს ერთი სიტყვაც მათი ნალაპარაკეი არ გამოჰპარვია, მაგრამ დილას კარგა ძაღლზე იყო ამ-სული მზე, რომ გამოეღვიძა და ისე წამოდა ზეზე, თითქო წუხელი სიზმარიც არ ენახოსო, გამოეთხოვა ნათლი-დედას და გაუღვა გზას.

აქაი.

(შემდეგი იქნება)

სახუმარო გასართობი

ჰოი! მტვიფრენო, ჩვენო მომთარღულობელ-
 ნო, მეპრატაყენო, კოლტობით მცხოვარნო, გინა
 მეკალტენო, მეხამარნობნო, ანუ მეხამარნო, გინა
 მესახამარნენო, მესეგობით მარჩენალნო თვისი „გვა-
 მისა“ იულიმის წყალობით, მესანარგვენო, ოსტინა-
 გის მიმღევარნო, ნიშაბით ქებულნო, შანართთა და
 შორევაში მქექაენო, მეთუნენო, არკატიოელთა ონო-
 ტოელთა ზ მალრიბელთა მეთუნეთა უკეთ გამოძეყან-
 ნო ლარნაკთა დი სხვათა, აკატისს აღდატიდან
 მსხემნო საქართველოს დიდებულ „მდლოსი“ და
 „ცხოველთა გროვის“ ფსახით მოყვარულნო, გარი-
 სნო, ჩიანო, გინა პითაენო, და უმქარნო მკვიდრნო
 გაიხარენით, გაიხარენით! კონსტანტინე დიმიტრის
 მის ყიფიანის-აგან საღუნის პროტასით დაიტვიფრა
 თქვენთვის, ზი ბედნიერნო, არა ანგოლელ, არა იენ-

გიღუნელ, არამედ დაგუმბათანელ იუფ. ლიპპერტის
 წიგნი კულტურა პინაქსით, რომელიც გაგიწევთ
 იგივე ყიბლანობას. მოიმარჯვეთ სმენისა და ქერე-
 ტისა „სახმართ შედგმულობანი“ და იწენით ჯერ-
 ჯერობით „სიცოცხლის გაძღვინებას კულტურა“,
 შემდეგ გაიგებთ „საზოგადო დაწყობილობის დაარ-
 სების ამბავს“ და ბოლოს „ენისა და მწერლობის
 გამოგონებას“.

გაიგე რამე, მკითხველო? ჯერ იჩხირკედელავე,
 ეს ჩემი „პროტასია“ შეისწავლე და მერე შეუდექ
 ყიფიანისაგან „გადმოქართულებულ“ ლიპპერტის—
 კულტურის კითხვას.

ბალტაყაჩი.

~~~~~  
 ჭედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.  
 ~~~~~

ქუთაისის მიხაილის თავად-აჯნაურთ საადგილ-მაგულო ბანკის გაგვიგება

საუოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-24 § ძალით, 20 მაისს ამა
 1896 წელს საზოგადო ვაჭრობით გასუიდულ იქმნებინ ქალაქ ქუთაისში ამავე ბანკის
 სადგურში ხსენებულ ბანკში დაგირბავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა ჰირთა,
 შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობის გამო.

187¹/₂ და 191¹/₂ წლიანი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

ქვიტიშვილის ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის
 ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118
 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 42 მან. 53 კაპ. შეს.
 გარ. 28 მან. 80 კაპ., სულ 71 მან. 33 კ.

ჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მი-
 წა 114 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 1406 მან. 55
 კაპ. შეს. გარ. 133 მან. 18 კაპ., სულ 1539 მან.
 73 კაპ.

გაბაგვის ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუ-
 ჩაზე ერთ-სართულიანი ქვიტიკირის დუქნები და მი-
 წა 65 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 1939 მან. 25
 კაპ. შეს. გარ. 105 მან. 90 კაპ., სულ 2045 მან.
 15 კაპ.

თავდიშვილის მამაჯან და მიხაილ ედოს ძე-
 თა: ბაზრის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვიტიკირის
 დუქანი და მიწა 5,55 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი
 921 მან. 16 კაპ. შეს. გარ. 81 მან. 78 კაპ., სულ
 1002 მან. 94 კაპ.

43¹/₂ და 48²/₃ წლიანი სესხნი.

ქუთაისის დუბერნიის და მისივე მამრისა,

მეგრულიშვილის იოსებ ისხაკის ძის: ბალის ქუ-

აჯლიანის ლუკა და იესე სიმონის ძეთა: გუმა-

თის აგარს სახნავე-სათესი, ზეარი და ტყე 26 დღს. 500 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 673 მან. 68 კაპ. შეს. გარ. 62 მან. 70 კაპ., სულ 736 მან. 38 კ.

ქოჭაშვილის ლუკა დავითის ძის, გარდასული ნატალია ელიზბარის ასულის აგიაშვილზე; სოფ. ტყაირის ეზო, ზეარი, სახნავე-სათესი და ტყე 114 დღს. 1931 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 12732 მან. 73 კაპ. შეს. გარ. 774 მან. 56 კაპ., სულ 1350 მან. 29 კაპ.

გიკნამის ივანე ზურაბის ძის; სოფ. დიშს სახნავე-სათესი და ტყე 15 დღს. 2040 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 848 მან. 84 კაპ. შეს. გარ. 78 მან. 47 კაპ., სულ 927 მან. 31 კაპ.

გამყვლეძის ლევან გიორგის ძის; სოფ. ობჩას ზეარი, სახნავე-სათესი და ტყე 11 დღს. 1464 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 776 მან. 6 კაპ. შეს. გარ. 66 მან. 87 კაპ., სულ 842 მან. 93 კაპ.

ერისთვის გიორგი დავითის ძის; სოფ. სადომინაოს და ნოლას სახნავე-სათესი, ზეარი და ტყე 31 დღს. 1312 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 2625 მან. 6 კაპ. შეს. გარ. 208 მან. 20 კაპ.; სულ 2833 მან. 26 კ.

მიქელაძის მელქისედექ დიმიტრის ძის; სოფ. კულაშს ეზო, ზეარი და სახნავე-სათესი 12 დღს. 1860 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 2231 მან. 65 კაპ. შეს. გარ. 119 მან. 96 კაპ., სულ 2351 მან. 61 კაპ.

მისივე; სოფ. ჭყვიშურს სახნავე-სათესი 26 დღს. 355 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 4463 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 307 მან. 21 კაპ., სულ 4771 მან. 8 კაპ.

მიქელაძის ადმირალ ივანეს ძის; სოფ. კულაშს ეზო, ზეარი და სახნავე-სათესი 12 დღს. 90 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 2678 მან. შეს. გარ. 195 მან. 82 კაპ., სულ 2873 მან. 82 კაპ.

მიქელაძის ნესტორ და ვარლამ გიორგის ძეთა; სოფ. ჭყვიშურს სახნავე-სათესი 32 დღს. 1010 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 6695 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 470 მან. 30 კაპ. სულ 7165 მან. 35 კაპ.

აგლიანის გრიგოლ თომას ძის; გუმათის აგარს ეზო, ზეარი, სახნავე-სათესი და ტყე 20 დღს. 1693 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 1077 მან. 90 კაპ. შეს. გარ. 83 მან. 83 კაპ., სულ 1161 მან. 73 კ.

აგლიანის ლუკა სიმონის ძის; ოფურჩხეთის აგარს ეზო, ზეარი, სახნავე-სათესი და ტყე 21 დღს. 225 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 932 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 71 მან. 3 კაპ., სულ 1003 მან. 90 კ.

ზოჭორიშვილის ილარიონ გიორგის ძის და ანტონ დავითის ძის; სოფ. ამაღლებას ზეარი, სახნავე-სათესი და ტყე 6 დღს. 1800 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 466 მან. 39 კაპ. შეს. გარ. 48 მან. 76 კაპ., სულ 515 მან. 15 კ.

ერისთვის ვახუ დავითის ძის; სოფ. სადომინაოს ზეარი, სახნავე-სათესი და ტყე 16 დღს. 1450 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 1249 მან. 23 კაპ. შეს. გარ. 88 მან. 20 კაპ., სულ 1337 მან. 43 კაპ.

იშვილის არისტო ივანეს ძის; სოფ. გეგუტის ეზო, ზეარი და სახნავე-სათესი 4 დღს. 140 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 677 მან. 58 კაპ. შეს. გარ. 60 მან. 48 კაპ., სულ 738 მან. 6 კაპ.

ლოჭიჭიჭიანის ტარიელ სიკოს ძის; სოფელ კულაშს ეზო 3 დღს. თაენი ვალი 585 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 50 მან. 47 კაპ., სულ 635 მან. 52 კაპ.

გიკნამის სილუან და ფეოდოსი გიორგის ძეთა; სოფ. ოჩჩას ზეარი და ტყე 8 დღს. 1905 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 978 მან. 18 კაპ. შეს. გარ. 65 მან. 48 კაპ., სულ 1043 მან. 66 კაპ.

ნიჭაძის დავით ოტის ძის; სოფ. ოფიშვიტის ეზო, სახნავე-სათესი და ტყე 47 დღს. 1500 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 3912 მან. 63 კაპ. შეს. გარ. 262 მან. 62 კაპ., სულ 4175 მან. 25 კაპ.

ნიჭაძის ალექსანდრე ოტის ძის; სოფ. ოფიშვიტის ეზო, ზეარი, სახნავე-სათესი და ტყე 22 დღს. 692 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 1662 მან. 58 კაპ. შეს. გარ. 114 მან. 13 კაპ., სულ 1777 მან. 1 კ.

აგლიანის იესე სიმონის ძის; ქონეთის აგარს სახნავე-სათესი, ზეარი და ტყე 22 დღს. 1960 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 1177 მან. 35 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 69 კაპ., სულ 1250 მან. 4 კაპ.

მიქელაძის ადმირალ ივანეს ძის; სოფ. კულაშს სახნავე-სათესი 10 დღს. 300 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 1766 მან. 4 კაპ. შეს. გარ. 120 მან. 4 კაპ., სულ 1886 მან. 8 კაპ.

გიკნამის სოლომონ (იგივე გიორგი.) ზურაბის

ძის სოფ. დიშ ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 13 დეს. 2020 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2664 მან. 52 კაპ. შეს. გარ. 162 მან. 42 კაპ., სულ 2826 მან. 94 კაპ.

მისივე და ივანე ზურაბის ძის: სოფ. დიშ ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 14 დეს. 730 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2763 მან. 21 კაპ. შეს. გარ. 167 მან. 50 კაპ., სულ 2930 მან. 71 კ.

ჩისლამის თეიმურაზ ამირანის ძის: სოფ. საღამინაოს ეზო, ზვარი და ტყე 2 დეს. 158 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 296 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 32 მან. 44 კაპ., სულ 328 მან. 49 კაპ.

ჩიჯვასის ვლადიმირ მანუჩარის ძის: სოფ. ამაღლებას ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 15 დეს. 354 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1979 მან. 24 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 15 კაპ., სულ 2051 მან. 39 კ.

შორაზნის მასწრისა,

ლეჟვასი ვახტანგ იესეს ძის: სოფ. კელიოს და ცხრაწყაროს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 24 დეს. თავნი ვალი 1669 მან. 36 კაპ. შეს. გარ. 137 მან. 76 კაპ., სულ 1807 მან. 12 კაპ.

ჩხეიძის დავით ბერის ძის: სოფ. ფუთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 6 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 384 მან. 38 კაპ. შეს. გარ. 39 მან. 99 კაპ., სულ 424. მან 37 კაპ.

წულუკიძის დავით და კონსტანტინე ანტონის ძეთა: სოფ. საზანოს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 13 დეს. 1418 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2613 მან. 54 კაპ. შეს. გარ. 136 მან. 30 კაპ., სულ 2749 მან. 84 კაპ.

მაჭვარძანის ბიკია ბეჟანის ძის: სოფ. იდემს და ბორს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 8 დეს. 300 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1177 მან. 36 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 69 კაპ., სულ 1250 მან. 5 კაპ.

ცქიტიშვილის რაჟდენ ბესოს ძის: სოფ. ლაშეს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 10 დეს. 405 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 981 მან. 14 კაპ. შეს. გარ. 61 მან. 97 კაპ., სულ 1043 მან. 11 კ.

ლეჟვასი სპირიდონ გიორგის ძის: სოფ. ცხრაწყაროს და კელიოს სახნავ-სათესი 51 დეს. 719 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 9446 მან. 70 კაპ.

შეს. გარ, 801 მან. 8 კაპ., სულ 10247 მან. 78 კაპ.

თაჭვარძანის კონსტანტინე იოსების ძის: სოფ. თეთრასწყაროს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 30 დეს, 560 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 3947 მან. 44 კაპ. შეს. გარ. 248 მან. 46 კაპ., სულ 4195 მან. 90 კ.

მაჭვარძანის დიმიტრი ბეჟანის ძის: სოფ. ზონს, წყალფორეთს და ალავერდს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 32 დესტ. 1536 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 5541 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 208 მან. 2 კაპ., სულ 5749 მან. 89 კაპ.

რაჭის მასწრისა,

იაშვილის ტიმოთე როსტომის ძის: სოფ. წოდას და სომიწოს ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი 8 დეს. 160 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1293 მან. 86 კაპ. შეს. გარ. 85 მან. 5 კაპ., სულ 1378 მან. 91 კაპ.

ჩაზმაქეთა გიგო ივანეს ძის და ბეჟან ნიკოლოზის ძის: სოფ. წმენდოურს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 6 დეს. 1870 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 847 მან. 31 კაპ. შეს. გარ. 43 მან. 47 კაპ., სულ 890 მან. 78 კაპ.

სენაკის მასწრისა,

მიქაძის ნესტორ გიგოს ძის, კვანტლიანის ბათუ მიხაილის ძის და გერგაიას ჰეტრე ტუას ძის: სოფ. ჭალადიდს სახნავ-სათესი, საბალაჩე და ტყე 750 დეს. თავნი ვალი 12732 მან. 67 კაპ. შეს. 1172 მან. 58 კაპ., სულ 13905 მან. 25 კაპ.

თოფურძის ჯაგუ და ნესტორ ეგნატეს ძეთა: სოფ. ზანათს სახნავ-სათესი 11 დეს. 1680 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 1347 მან. 32 კაპ. შეს. გარ. 93 მან. 1 კაპ., სულ 1440 მან. 33 კაპ.

მიქელაძის მელიტონ გლანუას ძის: სოფ. ცილორს სახნავ-სათესი 158 დეს. 120 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 28243 მან. 94 კაპ. შეს. გარ. 1254 მან. 75 კაპ., სულ 29498 მან. 69 კაპ.

ჯაფარიანის ლუკა მერაბის ძის: სოფ. ბოგაშს ეზო და სახნავ-სათესი 22 დეს. 1590 ოთხ-კუთხი საყ. თავნი ვალი 2364 მან. შეს. გარ. 145 მან. 17 კაპ., სულ 2509 მან. 17 კაპ.

აკლიანის ელენე დიმიტრის ასულის: სოფ. ბოგაშს ზეარი და სახნავე-სათესი 11 დეს. 60 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 1702 მან. 7 კაბ. შეს. გარ. 118 მან. 37 კაბ., სულ 1820 მან. 44 კაბ.

ბუკიძის მემკვიდრეთა ივანე პეტრეს ძის: სოფ. შხედს ეზო, ზეარი და სახნავე-სათესი 9 დეს. 450 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 667 მან. 44 კაბ. შეს. გარ. 33 მან. 38 კაბ., სულ 700 მან. 82 კ.

მიქელაძის მელიტონ გლახუას ძის: სოფ. ცილორს ეზო და სახნავე-სათესი 41 დეს. 600 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 6751 მან. 65 კაბ. შეს. გარ. 481 მან. 46 კაბ., სულ 7233 მან. 11 კ.

მიქელაძის ვლადიმირ და ნინა მიხაილის ძეთა და ჩხეიძის ალექსანდრა მიხაილის ასულის: სოფ. ცილორს სახნავე-სათესი 138 დეს, 820 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 22427 მან. 61 კაბ. შეს. გარ. 1330 მან. 6 კაბ., სულ 23757 მან. 67 კაბ.

კოჭიახის კარბეზ სიმონის ძის: სოფ. საჭილაოს ეზო და სახნავე-სათესი 9 დეს. 620 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 978 მან. 18 კაბ. შეს. გარ. 65 მან. 48 კაბ., სულ 1043 მან. 66 კაბ.

აკლიანის ლუკა შერაბის ძის: სოფ. საჭილაოს სახნავე-სათესი 4 დეს. 300 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 392 მან. 46 კაბ. შეს. გარ. 35 მან. 38 კაბ., სულ 427 მან. 84 კ.

გაბუნიახის ნეოდინა დიმიტრის ასულის: სოფ. ბოგაშს სახნავე-სათესი 6 დეს. 450 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 588 მან. 68 კაბ. შეს. გარ. 50 მან. 47 კაბ., სულ 639 მან. 15 კაბ.

მიქელაძის ვლადიმირ და ნინა მიხაილის ძეთა და ჩხეიძის ალექსანდრა მიხაილის ასულის: სოფ. ცილორს ეზო, ზეარი, სახნავე-სათესი და ტყე 57 დეს. 840 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 5953 მან. 87 კაბ. შეს. გარ. 333 მან. 60 კაბ., სულ 6287 მან. 47 კაბ.

კოჭიახის გიგო გლახუას ძის: სოფ. ილორს პირველს ეზო, სახნავე-სათესი და ზეარი 7 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 994 მან. 94 კაბ. შეს. გარ. 42 მან. 8 კაბ., სულ 1037 მან. 2 კაბ.

ოზურგეთის მაზრისა.

თაგდგირიძის მემკვიდრეთა როსტომ ბეჟანის ძის: სოფ. აკეთს ეზო, სახნავე-სათესი და ტყე 64 დეს. 420 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 2624 მან. 17 კაბ. შეს. გარ. 194 მან. 41 კაბ., სულ 2818 მან. 58 კ.

კვანჭანიძის კოსტანტინე იესეს ძის: სოფ. ოზურგეთს სახნავე-სათესი 4 დეს. 2100 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 287 მან. 19 კაბ. შეს. გარ. 31 მან. 73 კაბ., სულ 318 მან. 92 კაბ.

მაჭუტაძის ალექსანდრე გიორგის ძის: ნიგოთის აგარს სახნავე-სათესი 102 დეს. თაენი ვალი 8020 მან. 89 კაბ. შეს. გარ. 453 მან. 92 კაბ., სულ 8474 მან. 81 კაბ.

მაჭუტაძის ალექსანდრე გიორგის ძის: სოფ. ნიგოთის აგარს სახნავე-სათესი და ტყე 208 დეს. თაენი ვალი 9811 მან. 30 კაბ. შეს. გარ. 538 მან. 75 კაბ., სულ 10350 მან. 5 კ.

მისივე: ნიგოთის აგარს სახნავე-სათესი 107 დეს. 310 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 7796 მან. 9 კაბ. შეს. გარ. 433 მან. 75 კაბ., სულ 8229 მან. 84 კაბ.

მოკლე ვადიანი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

გამყრელიძის ნინა ლევანის ასულის: ბალახეანის ქუჩის შესახვევში სამოსახლო ადგილი 731 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 800 მან. შეს. გარ. 53 მან. 22 კაბ., სულ 853 მან. 22 კ.

ქუთაისის მაზრისა.

სოფ. ტყაჩირს.

მემკვიდრეთა აკაშვილის კოსტანტინე ბებეს ძის: ეზო, ზეარი და სახნავე-სათესი 23 დეს. 760 ოთხ-კუთხი საყ. თაენი ვალი 2000 მან. შეს. გარ. 195 მან. 50 კაბ., სულ 2195 მან. 50 კაბ.